საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

85-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ინსტალაციის როლი თანამედროვე ხელოვნებასა და არქიტექტურაში

სტუდენტი: ქორიძე თინათინი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თინათინ ჩიგოგიძე

ჯგუფი: 2015.3

2017

ინსტალაცია ნიშნავს მონტაჟს, განთავსებას - იგი თანამედროვე ხელოვნების ფორმაა, რომელიც სივრცეში განთავსდება და შეიძლება შეიქმნას ნებისმიერი საყოფაცხოვრებო საგნებისგან, თუ სამრეწველო ნარჩენებისგან. ის შედგება სხვადასხვა ელემენტისგან და მთლიანად მხატვრულია. ინსტალაციის ახალ - სამგანზომილებიან ნამუშევრებს ქმნიან თანამედროვე პოსტმოდერნისტი არტისტები. ინსტალაცია ხშირად გამოიყენება სპეციფიკური ადგილებისთვის და პროექტდება სივრცის აღქმის ტრანსფორმირების მიზნით. ძირითადად, იგი მოიცავს ინტერიერის სივრცეს, რადგან ექსტერიერის ინტერვენციას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც საზოგადოებრივ ხელოვნებას, მიწის ხელოვნებას ან ინტერვენციის ხელოვნებას. თუმცა ამ ტერმინებს შორის კავშირი ნახევრად დაფარულია. ინსტალაცია საშუალებას აძლევს მნახველს მასში შევიდეს, იმოძრაოს მის გარშემო ან შეეხოს. აქედან გამომდინარე მნახველს სთავაზობს ძალიან განსხვავებულ გამოცდილებას ტრადიციული ნახატისგან და ქანდაკებისგან განსხვავებით, რომლის ნახვაც შეიძლება მხოლოდ ერთი ხედვის წერტილიდან. გარდა ამისა ინსტალაცია მნახველის მიერ შეიძლება აღიქვას არამარტო მხედველობით, არამედ სუნით, შეხებით და ხმით. ინსტალაცია შესაძლებელია ნებისმიერი ნივთისგან შეიქმნას, მთავარია კომპოზიცია, იდეა, გემოვნება და მხატვრული, შემოქმედებითი ხედვა. ეს ყველაფერი კი შემოქმედისთვისაც და მნახველისთისაც სასიამოვნო ხდება. ინსტალაციისთვის ყველა საზღვარი დანგრეულია, ის თავისუფლად თავსდება ნებისმიერ შიდა თუ გარე სივრცეში, ჰაერში, მიწაზე, წყალზე. შეიძლება იყო ფიზიკურიც და ილუზიურიც, რაც ბოლო პერიოდში ხელოვნებისა და გრაფიკის მაღალ დონეს წარმოაჩენს.

ინსტალაციის ხელოვნება შეიძლება იყოს, როგორც დროებითი ისე მუდმივი. ინსტალაციების ნამუშევრები გაკეთებულა, როგორც საგამოფენო დარბაზებისთვის და მუზეუმებისთვის, ისე საზოგადოებრივი და ინდივიდუალურ სივრცეებისთვის. ჟანრი მოიცავს ყოველდღიურ და ბუნებრივი მასალების ფართო არჩევანს, რომელიც გამოიყენება მათი „დამაფიქრებელი“ გამორჩეული თვისებების გამო. ბევრი დიზაინი

არის სპეციფიკური ადგილებისთვის ანუ შექმნილნი არიან, რომ იყვნენ მხოლოდ იმ გარკვეულ ლოკაციებზე, რომლისთვისაც შეიქმნენ.

ინსტალაციის დამაარსებლად მიიჩნევა მარსელ დიუშანი და სიურეალისტები. მათი პროტესტანტული საგამოფენო სივრცეებმა საფუძველი ჩაუყარა მსგავს გამომსახველობას. მიმდინარეობა წარმოიშვა მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1917 წელს დიუშანის ნამუშევარში „readymades“, როგორც პისუარი “შადრევანი”-ს კონტრვერსია. მან საკუთარი სტილის ძიებაში თავი იპოვა რადიკალურ და ავანგარდისტულ სტილში მუშაობაში, რამაც ის დადაიზმთან და სურეალიზმთან დაახლოვა. დადაიზმი იყო უარყოფითი რეაქცია პირველ მსოფლიო ომზე. ის უარყოფდა მიზეზსა და ლოგიკას, უაზრობა, ინტუიცია. (1).

განსხვავებული ემოციის მატარებელია იმდროინდელი ხელოვანის კურტ შვიტერსის (Kurt Schwitters) ნამუშევრები, რომლებიც გამოირჩევა განსაკუთრებული დრამატულობით. ყველაზე ცნობილია “Merzbau“, ტრანფორმაცია ოჯახური ტიპის სახლისა ჰანოვერში. 1923-1933 წლებში ფორმირდებოდა სახლის კონსტრუქცია, თუმცა 1937 წლამდე კვლავ ინტესიურად შეჰქონდა ავტორს კორექტირებები. საკუთარი სახლის განსაკუთრებული სივრცითი მოწყობა, თითქოს აცალკევებდა სივრცეებს, ქანდაკებების აგრესიული კონტურებით შექმნილიუხეში ზონირება. ინსტალაცია სახლი1943 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს დაიბომბა და განადგურდა (2).

ინსტალაციების საუკუნოვანი ისტორია შეუძლებელია განვიხილოთ ქრისტო და ჯინი კლოდების გარეშე, რომელთა კავშირი არის ხორცშესხმა - „ერთი ხელოვანი ორ სხეულში“. მათი სამუშაო პალიტრა შედგება ფერადოვანი ქსოვილთა გამითა და ლანდშაფტის / არქიტექტურის კოლაბორაციით. მუდმივად საინტერესო ინსტალაციებს თავაზობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებს. ქსოვილით ფუთავდნენ თუ ერთმანეთთან აკავშირებდნენ სხვადასხვა ნაგებობებს, პუნქტებს, სადაც გარემო, ბუნებრივი პირობები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ

ინსტალაციის „გაცოცხლებაში“. მათი ნაშრომები არ მოიცავს მხოლოდ ხმელეთს, შენობებს, ისინი წყლის ზედაპირებსაც იპყრობდნენ, ურბანულთან ერთად ინტერიერებსაც გარდაქმნიდნენ, თუმცა ჩემთვის გარე ინსტალაციები უფრო მიმზიდველია, თავისი მასშტაბურობითა და ბუნებრივი პირობებით.

Rifle, Colorado 1970-72 კოლორადოს მთებს შორის გაჭიმული 200 კვადრატული ფუტი ნაქსოვი ნეილონის ქსოვილი. 28 საათის შემდეგ ძლიერი ქარის გამო, აუცილებელი გახდა მისი დაშლა. (4).

1980-83 წლებში თერთმეტ კუნძულზე მდებარე Biscayne Bay,Greater Miami,Florida-ში გარშემორტყმული 6,5 მილიონი კვადრატული ფუტის მცურავი ვარდისფერი ნაქსოვი პოლიპროპილენის ქსოვილით შექმნილი ინსტალაცია, რომელიც მოიცავს წყლის ზედაპირს და გრძელდება თითოეული კუნძულზე. (5).

1971-1995 წ. გერმანია გამოირჩევა თავისი სიმკაცრით არამხოლოდ ყოფიერ ცხოვრებაში, ფსიქოლოგიაში, არამედ არქიტექტურაშიც. კლოდებმა მოახერხეს მთავრობასთნ შეთანხმება და „შეფუთეს“ რაიხსტაგი. 90 პროფესიონალი ალპინისტი და 120 მემონტაჟე მუშაობდნენ. 2 კვირის განმავლობაში მათ შექმნეს თავიანთი ინსტალაცია, რომელიც სამუდამოდ დარჩა ისტორიას.(6).

2014-2016 წ. ქრისტოს ახალი პროექტი ბოლო პერიოდია განხილვის თემად იქცა, იტალიის ჩრდილოეთში ლაგო იზეოს წყლის ზედაპირზე დაგებული ბილიკები. მოტივტივე ბალონების კომპოზიტი სასიარულო სიბრტყეა, რომელიც დაფარულია ქსოვილით, განათებასთან ერთად ფერს იცლის. არის ამ პროექტში რაღაც საოცარი, ფეხით გაიარო წყალზე და მიხვიდე კუნძულამდე. (7).

JR ფრანგი ხელოვანის საინტერესო ინსტალაცია ლუვრი, საფრანგეთი, 2016 წელს. მან აირჩია მასშტაბური მსოფლიო გალერიის საჯარო სივრცე. ის ცნობილია თავისი კოლაჟური ფოტოებით. „ინსტალაცია მნიშვნელობას იღებს თავისი ადგილდებარეობის განსაზღვრის შემდეგ“. იუჰ მინ პეის მიერ შექმნილი ლუვრის

პირამიდა თავდაპირველად განხილვის თემა გახდა, მსგავსი დუეტი ძველისა და ახლის პარიზელებისთვის თითქოს მიუღებელიც იყო, საბოლოო შერწყმა მაინც მოხდა, მაგრამ JR გადაწყვიტა რომ გაეცოცხლებინა ძველი. მან ლუვრის თავდაპირველი ფასაფი აღადგინა, რომელიც სტიკერების მეშვეობის პირამიდის წახნაგზე დააკრა. შედეგი ნამდვილად საინტერესო და მიმზიდველი იყო მნახველისთვის. გაცოცხლებული ეპოქა ინსტალაციების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. (19, 20).

გიგანტურის ხის მეგაფონები ტყის მოსასმენლად - ინტერიერის დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებისTõnis Kalve, Ahti Grünberg და არქიტექტურული ოფისის b210 შექმნილი. მათააშენეს უზარმაზარი ხის მეგაფონები ესტონეთის ტყეებში. აკუსტიკური ინსტალაცია, რომელიც აძლიერებს ტყის ხმას. ინსტალაცია არის ნაზავი თანამედროვე არქიტექტურისა და ველური ტყის, მისით სიამოვნების მიღება ნებისმიერ მოგზაურსა თუ ბუნების მოყვარულისთვის უფასოა. ხის ქმნილებები ისე განათავსეს, რომ ხმის სიხშირე სამი მიმართულებიდან მოდის, ქმნის უნიკალურ ჟღერადობას ცენტრში. (8,9).

ინსტალაცია შეიძლება იყოს გამაფრთხილებელიც, მიძრვნილი კონკრეტულ მოვლენას ან ობიექტს, ხშირ შემთხვევაში კინეტიკური, ცოცხალი ინსტალაცია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკისრება მასშტაბს. ბუდაპეშტში შეგვიძლია ვნახოთ საოცარი ფანტანი, რომელსაც გადაშლილი წიგნის ფორმა აქვს, წარმოქმნილი წყლის ტალღა ფურცლის გადაშლის იმიტაციას ქმნის. „გადაშალე წიგნი“ - ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ძეგლია მსგავს თემატიკაზე. წიგნიმარმარილოსგანაა გამოთლილი. იდეა მდგომაეობს იმაში, რომ წიგნი შეუცვლელია და მის ხიბლს სხვა ელექტორნული გამოგონებები ვერ ჩაანაცვლებს. (11).

არსებობს უამრავი სახის ინსტალაცია, უმარტივესით დაწყებული, კომპლექსურით დამთავრებული. შეიძლება იყოს გალერეული, კომპიუტერული, ელექტრონოული, ქსელური - შესაძლებლობები უსაზღვროა და დამოკიდებულია მთლიანად

ხელოვანის კონცეპტზე და მიზნებზე. ინსტალაციისთვის თითქმის ნებისმიერი ტიპის მასალა ან მედია შეიძლება იყოს გამოყენებული, მათ შორის ბუნებრივი ან ხელოვნური, ნახატი და ქანდაკება, ასევე ფილმი, ანიმაცია, სხვადასხვა ფორმის ფოტო თუ წარმოდგენა, მუსიკა და ვიდეომასალა. ზოგი კომპოზიცია არის აუცილებლად ინტერიერისთვის, როცა სხვა ღია ცის ქვეშაა აწყობილი ან დაპროექტებული საზოგადოებრივ შენობაზე. ზოგიერთი ინტერაქტიულია და მოითხოვს აუდიტორიის მონაწილეობას.

ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის, Sapporo 2014 წელს ფარგლებში შეიქმნა საოცარი ინსტალაცია მხატვარ Takashi Kuribayashi-ის მიერ. ინსტალაცია წარმოადგენს სპეციალური ქაღალდის ტალღოვან ზედაპირს, რომელიც სივრცეს ჭრის. მის ხვრელში მოხვედრის შემთხვევაში დამთვალიერებელი ხვდება ხეებით გარშემოტყმულ გარემოში „ზამთრის პეიზაჟი“. ეს არის მესიჯი, რომ აღდგეს ურთიერთობა გარემო ბუნებასა და თანამედროვე ადამიანს შორის. ეს არის კავშირი ბუნებისა და ხელოვნებას შორის. (10).

Dave Gabriel (Gabriel Dawe) ამერიკელი დიზაინერი, რომელიც საინტერესო, ახალ ფერადოვან სივრცეებს ქმნის. სხვადასხვა ფერის ძაფების მეშვეობით აწყობს ინსტალაციას „ცისარტყელას“. მიტოვებული საჯაროთუ საცხოვრებელი შენობები, მდუმარე, დადებითი ემოციებით ივსება და საოცარ გამას ქმნის. (12).

Anthony McCallამერიკელმა მხატვარმა, ბერლინში Hamburger Bahnhof-ში გამოფინა Five Minutes of Pure. სხივებით, განათებითი ინსტალაცია. ის ეფემერულია, ამავდროულად მატერიალურიც. ანიმაცია აძლევს ვმნახველს საშუალებას შექმნას ახალი და თავად ხდება მოქმედი პირი. (13).

გამორჩეული ინტერიერის ინსტალაციაა ტომ პრაისის „cherry tree installation”, სადაც პოლიპროფილენის სანტექნიკური მილებით და ნეილონის კაბელების შესაკრავების გამოყენებით გაკეთებულია ალუბლის ხეების მთელი ტყე. „ეს არის ნაწილობრივ მატერიალური და შეიძლება გაკეთდეს მსგავსი მასალებით, მაგრამ ის ასევე

გულისხმობს ჩვენს გონიერების და სილამაზის აღქმას... არსებობს გარკვეული ირონია, რაღაც ისეთი ბუნებრივი და ეფემერული წარმოდგენა მასალის, რომელიც აძნელებს მის მიღებას, აღქმას“. პროექტი გამოხატავს ურთიერთობას პლასტმასსთან, რომელიც ზოგადად განიხილება, როგორც არასრულყოფილი და არასასურველი. (14).

იაპონელმა ხელოვანმა ჩიჰარუ შიოტამ შავი ძაფების გამოყენებით შეძლო, რომ ოთახი ექცია დროსა და სივრცეში გაჩერებულ შავ ტყედ. „უსასრულო ინსტალაცია“-ში ბამბის ძაფები ერთმანეთშია გადახლართული და ქმნიან რთულ ქსელს. ჩახლართულ სივრცეში თეთრი ნათურები დროგამოშვებით ანათებენ, თითოქს პულსირებენ და სიცოცხლით სუნთქავენ. ობობის ქსელის ასოციაცია უშუალოა, თუმცა იგრძნობა დაცულობა და არა მახეში გაბმა. შიოტას მისტიკურად ჩუმი ნამუშევრები ყოველთვის გაჟღენთილია ფარული დიდსულოვნებით. ობიექტების არარსებობა - ან ქსელში გახლართულობა, მიუთითებს მათ პრაქტიკულ უსარგებლობაზე და შედეგი დელიკატურად მელანქოლიურია.(15)

მელანქოლიკ შიოტასგან განსხვავებით კი ტოკიოში მოღვაწე ფრანგმა არიქტექტორმა და დიზაინერმა ემანულ მორომ „ბუნში“-ს კონცეპტზე დაყრდნობით დააპროექტა სივრცე, სადაც პატარა ფერადი ტოტებიერთმანეთს ემიჯნებიან, მრავლდებიან და ცარიელ სივრცეს სიცოცხლით ავსებენ. ინსტალაცია შედგება 20,000 პატარა ტოტისგან, ფერების 100 ტონალობაში, რომლებიც არეულადაა განაწილებული, თუმცა ქმნიან იდეალურ სამგანზომილებიან ბადეს. (16).

კორეელი მხატვრის Yoon Bohun გამოირჩევა უჩვეულო დანადგარებით. ინსტალაცია „ერთობა“, სილიკონის თოჯინების ნაწილების ქაოსი, რომელიც სწორი რაკურსის შემთხვევაში ქმნის მთლიან ფორმას. მსგავსი ხერხი ინსტალაციის შექმნისას ფართოდაა გავრცელებული.(17)

ქართველი ხელოვანები არ ჩამორჩებიან მსოფლიო ტრენდს. მასშტაბი და დაფინანსება საგრძნობლად მცირეა, თუმცა საინტერესო ნაბიჯები იდგმება

ხელოვნების ამ მიმართულების სახით. 2016 საინტერესო ინსტალაცია წარმოადგინა თეზი გაბუნიამ „შეყავი თავი გალერეაში“. დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებინა სამი ცნობილი გალერეის საგამოფენო სივრცე: ლუვრის, ტეიტ მოდერნის, გაგოსიანის გალერეა. ინსტალაციაში მოცემული იყო გალერეეების ანალოგიური მინი მოდელები. შესაძლებელი იყო თავის საგამოფენო სივრცეში შეყოფით დამთვალიერებელს გადაეღო ფოტო რუბენსის, ჰერსტის, ლიხტენშტეინის და სხვა ცნობილი მხატვრების ნამუშევრებთან ერთად და თავადაც გამხდარიყო საგამოფენო ექსპონატი. (18).

ერთი შეხედვით, ზოგიერთი ინსტალაცია ტრადიციულ სკულპტურულ ნამუშევარს მოგვაგონებს, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა. ინსტალაციის ხელოვნება ეფექტურად გარდაქმნის სკულპტურის პრინციპებს, სადაც უკანასკნელი იქმნება იმისთვის, რომ აღიქვას გარედან. ინსტალაციას კი მნახველი ნამუშევრის სივრცეში შეყავს. მნახველი შედის კონტროლირებად გარემოში, რაც ობიექტებთან ერთად მოიცავს სინათლეს, ხმას და დაგეგმილ გამოსახულებას. კომპოზიციის ფორმალიზმი რჩება მეორად მნიშვნელობად - გადამწყვეტი კი მნახველის სივრცითი მოლოდინია. თანამედროვე ხელოვნებაში ყველაფერი ტრადიციულიდან განდეგილია და იჭრება ინსტალაციის საინტერესო კომპოზიციებში, რომელიც ხან მდუმარეა, ხან მოძრავი, აღმაფრთოვანებელი. არ არსებობს დრო და სივრცე. ეს რეალური თუ „წარმოსახვითი“ სამყარო ადამიანის ქმნილებაა, რომელიც მისი გონების უსაზღვროებას წარმოაჩენს. მთავარია იდეა, სასურველია არაორდინალური, რეალიზება და „შედევრი“ აუცილებლად გახდება ინტერესის ობიექტი.

გამოყენებული ბიბლიოთეკა:

1. https://en.wikipedia.org/wiki/Marcel_Duchamp 11.06.2017
2. https://en.wikipedia.org/wiki/Kurt_Schwitters11.06.2017
3. http://christojeanneclaude.net/projects/valley-curtain20.06.2016

4. http://christojeanneclaude.net/projects/valley-curtain#.V2cH9vl96M8 19.06.2016
5. http://christojeanneclaude.net/projects/surrounded-islands#.V2cJMPl96M8 19.06.2016
6. http://christojeanneclaude.net/projects/wrapped-reichstag#.V2cNB_l96M- 19.06.2016
7. http://christojeanneclaude.net/projects/the-floating-piers 19.06.2016
8. http://www.boredpanda.com/estonian-students-build-amazing-unplugged-walk-in-megaphones-in-the-middle-of-nowhere/ 19.06.2016
9. https://www.b210.ee/design-studio-forest-library/ 11.06.2017
10. http://www.kulturologia.ru/blogs/170814/21142/ 21.06.2016
11. http://gizmodo.com/5926022/page-turning-public-fountain-will-remind-future-generations-of-how-printed-books-worked 21.06.2016
12. http://www.etoday.ru/2012/09/raduzhnaya-installyaciya-gabri.php 21/06/16 21.06.2016
13. https://collabcubed.com/2012/04/23/anthony-mccall-5-minutes-of-pure-sculpture/ 21.06.2016
14. https://www.frameweb.com/news/cherry-tree-installation 11.06.2017
15. http://www.frameweb.com/news/infinity-installation 11.06.2017
16. http://www.designdiffusion.com/2016/03/09/colorful-installation-by-emmanuelle-moureaux/ 11.06.2017
17. http://mypleer.com/?p=17258 21.06.2016
18. http://www.epn.ge/?id=23165 12.06.2017
19. http://www.jr-art.net/projects 19.06.2017
20. http://www.louvre.fr/en/expositions/contemporary-art-jr-louvre 19.06.2017